



## ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

ო ქ მ ო №5

ქალაქი ბათუმი

2020 წლის 30 ივნისი  
11<sup>00</sup> საათი

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
თავმჯდომარე - სულიკო თებიძე

მ ს ჯ რ ე ბ ო ღ ნ ე ნ :

- |                      |   |
|----------------------|---|
| თამაზ სალუქვაძე      | - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;   |
| გოჩა მგელაძე         | - საკრებულოს ინფრასტრუქტურის განვითარების კომისიის თავმჯდომარე;                         |
| თემურ კახიძე         | - საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;                     |
| დემეტრი ჭეიშვილი     | - საკრებულოს ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;                   |
| ირაკლი პატარიძე      | - საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;  |
| ზურაბ ნაკაიძე        | - საკრებულოს საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისიის თავმჯდომარე;                |
| ნატალია ზოიძე        | - საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე;           |
| ბესარიონ გოგოტიშვილი | - საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილე; |
| ნერიმან ცინცაძე      | - საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - კონსერვატორები“ თავმჯდომარის მოადგილე;          |

- რაულ თავართქილაძე - საკრებულოს ფრაქციის „ბათუმი“ თავმჯდომარე;
- არჩილ მამულაძე - საკრებულოს ფრაქციის „ბათუმი“ თავმჯდომარის მოადგილე;
- დავით მახარაძე - საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - მრეწველები“ თავმჯდომარის მოადგილე;
- მირდატ ქამადაძე - საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარე;
- ელგუჯა ანდრიაძე - საკრებულოს წევრი;
- თამაზ დევაძე - საკრებულოს წევრი;
- მუხამედ ართმელაძე - საკრებულოს წევრი;
- ომარ მახარაძე - საკრებულოს წევრი;
- ლევან ანთაძე - საკრებულოს წევრი.

**არ ესწრებოდნენ:**

- ლაშა სირაბიძე - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
- ნატალია ძიძიგური - საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - კონსერვატორები“ თავმჯდომარე;
- ანზორ დევაძე - საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - მრეწველები“ თავმჯდომარე;
- ნოდარ დუმბაძე - საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილე;
- ირაკლი თოფურიძე - საკრებულოს წევრი;
- გელა დეკანაძე - საკრებულოს წევრი.

## სხდომას ესწრებოდნენ:

- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ვიცე-მერი - ჯაბა ტულუში;
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი - მირიან მეტრეველი;
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - დავით კოპინაძე;
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის საქალაქო ტრანსპორტის და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის პოლიტიკის განყოფილების უფროსი - ემზარ ქავჭარაძე;
- ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების სააგენტოს“ მუნიციპალური სერვისების სამსახურის უფროსი - აკაკი გვიანიძე;

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოქმედი რეგლამენტით გათვალისწინებული საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეები:

- საკრებულოს აპარატის უფროსი - რაულ ბოლქვაძე;
- იურიდიული განყოფილების უფროსი - ირაკლი თავართქილაძე;
- საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი - მადონა თურმანიძე;
- მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი - ლელა ნემსაძე;
- მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი სპეციალისტი - ბადრი წულუკიძე.

პრესისა და მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარე - სულიკო თებიძე მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას, მიულოცა საქართველოს საკონსტიტუციო ცვლილება, რითაც დემოკრატიული არჩევნების ჩატარებისთვის მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა და წარმატებები უსურვა მომავალ არჩევნებში ყველა ღირსეულ პარტიას.

ასევე აღნიშნა, საკრებულოს მორიგ სხდომაზე განსახილველად წარმოდგენილი 12 სამართლებრივი აქტის პროექტის შესახებ და მიმართა კოლეგებს დღის წესრიგის გარშემო, პროცედურულ საკითხთან დაკავშირებით წინადადებების არსებობის თაობაზე.

**სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ სხდომის მონაწილეებს, საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგი:**

## **დ ღ ი ს   წ ე ს რ ი გ ი :**

**საკითხი 1.** „ქალაქ ბათუმის გარკვეული ტერიტორიისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი - მირიან მეტრეველი)

**საკითხი 2.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M2 კატეგორიის ავტობუსით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ტარიფის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის საქალაქო ტრანსპორტის და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის პოლიტიკის განყოფილების უფროსი - ემზარ ქავჭარაძე)

**საკითხი 3.** ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მნიშვნელობის ზოგიერთ საავტომობილო გზაზე საგზაო მოძრაობის ორგანიზების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის საქალაქო ტრანსპორტის და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის პოლიტიკის განყოფილების უფროსი - ემზარ ქავჭარაძე)

**საკითხი 4.** „ქალაქ ბათუმში, მაიაკოვსკის ქუჩის ნაწილისთვის წმინდა სევერიანე აჭარელის სახელის მინიჭების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - ირაკლი პატარიძე)

**საკითხი 5.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირების და პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგოების და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 მარტის №28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ - დავით კოპინაძე)

**საკითხი 6.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის უფლების საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 თებერვლის №17 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ - დავით კოპინაძე)

**საკითხი 7.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის N34 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ - დავით კოპინაძე)

**საკითხი 8.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ.ბათუმში, სვიშვესკის ქ.№1-ში მდებარე უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ - დავით კოპინაძე)

**საკითხი 9.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის ქირის საწყისი წლიური საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ - დავით კოპინაძე)

**საკითხი 10.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ბულვარში, პარკში, სკვერში მოტოციკლით, კვადროციკლით და ელექტრომობილით (ელექტროტრანსპორტით) გადაადგილების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 5 მარტის №4 დადგენილების ნაწილის მოქმედების შეჩერების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ - დავით კოპინაძე)

**საკითხი 11.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, უზუფრუქტის ფორმით სსიპ „ბათუმის ბულვარი“-სათვის სარგებლობაში გადაცემული უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთები) სარგებლობის უფლებით გაცემასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ - დავით კოპინაძე)

**საკითხი 12.** „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის (მხარდაჭერის) პროგრამის განხორციელებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების სააგენტოს“ მუნიციპალური სერვისების სამსახურის უფროსი - აკაკი გვიანიძე)

**სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი დღის წესრიგი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 19

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 19

წინააღმდეგი - 0

**სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ საკრებულოს წევრებს მიმართა საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით მოკლე განცხადებების გაკეთების შესაძლებლობის თაობაზე და საკრებულოს აპარატს დაავალა ყველა განცხადების ოქმის სახით გადაგზავნა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში.**

**საკრებულოს წევრი - მირდატ ქამადაძე** მიესალმა კოლეგებს და მიულოცა საზოგადოების მოთხოვნის შედეგი - საკონსტიტუციო ცვლილება. ასევე აღნიშნა საკრებულოს სხდომაზე განსახილველად ბათუმის ბიუჯეტში ცვლილების დღემდე წარმოდგენლობის შესახებ, რაც განპირობებულია ბიუჯეტით გათვალისწინებული უამრავი ღონისძიებების გაუქმებით და მიმართა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ვიცე-მერს ჯაბა ტულუშს განემარტა, თუ რა იგეგმება ბიუჯეტთან დაკავშირებით.

**საკრებულოს წევრი - არჩილ მამულაძე** მიესალმა კოლეგებს, დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ უერთდება პათოსს კონსტიტუციის ცვლილებასთან დაკავშირებით, რაც დიდი ისტორიული მოვლენაა და ნამდვილად წაადგება ქვეყანას.

აღნიშნა, რომ უერთდება ბატონ მირდატ ქამადაძის აზრს ბიუჯეტში ცვლილებების აუცილებლად წარმოდგენასთან დაკავშირებით, რადგან უამრავი ღონისძიებები შეჩერდა, სადაც თანხებია გაწერილი. საკითხი როგორც მის, ასევე მისი ფრაქციის „ბათუმი“ ინტერესებშიც შედის.

ისაუბრა შემზარავი ფაქტის, 19 წლის ახალგაზრდა ფეხბურთელის - გიორგი შაქარაშვილის დაღუპვის თაობაზე. მიუსამძიმრა ოჯახს და იმედს იტოვებს, რომ გამოძიება დაადგენს დანაშაულში ტიტულოვანი სპორტსმენების ჩართულობის არ არსებობის შესახებ.

მადლობა გადაუხადა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ვიცე-მერს ჯაბა ტულუშს მნიშვნელოვან საქმეში შეტანილი წვლილისთვის - მახინჯაურში, თამარის დასახლებაში მოწყობილ იქნა რკინიგზასთან გადასასვლელი და საგრძნობლად შემცირდა განსაკუთრებით პიკის საათებში, იქ არსებული საცობები, რომელიც ცენტრალურ გზაზე გადმოდიოდა და ქმნიდა გაუსაძლის მდგომარეობას.

ასევე მისაბამ მაგალითად დაასახელა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - დავით კოპინაძე, ვინც სხვა სამსახურის უფროსებისგან

განსხვავებით უპასუხოდ არ ტოვებს მისგან განხორციელებულ ზარს და შესაძლებლობისამებრ დახმარებას უწევს სხვადასხვა საკითხში.

მიმართა თხოვნით:

ა) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის საქალაქო ტრანსპორტის და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის პოლიტიკის განყოფილების უფროსს - ემზარ ქავჭარაძეს გაეთვალისწინებინა მიკროავტობუსებში გადაჭედული მგზავრების მიერ პანდემიის - კოვიდ 19-ის პერიოდში რეგულაციების დარღვევის ფაქტები. კერძოდ მახინჯაურის მიმართულების მიკროავტობუსი N31 და სხვა.

ბ) ზედამხედველობის სამსახურებს გაეთვალისწინებინათ ქალაქის პერიფერიებში მდებარე კაფე-ბარებთან დაკავშირებით პანდემიის პერიოდში არსებული რეგულაციების დარღვევები, კერძოდ თამარის დასახლებაში.

გ) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ვიცე-მერს ბატონ ჯაბა ტულუშს ქალაქის ყველა საცხოვრებელი კორპუსების ამხანაგობების თავმჯდომარეებისთვის კონსულტაციების გამართვის თაობაზე, ამხანაგობის თავმჯდომარის ფუნქციებში გარკვევის მიზნით. რადგან ისინი უნდა ასრულებდნენ შუამავლის როლს კორპუსებსა და გამგებლებს შორის, რაიონებში არსებული რიგი დარღვევების აღმოფხვრისთვის.

ასევე აღნიშნა ქალაქში 13 ობიექტში (აქედან 6 ობიექტი ცენტრალურ ნაწილში) მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოების შესრულების ვადის შესახებ, რომელიც უნდა იყოს დადგენილი მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, მაგრამ ინფრასტრუქტურული სამუშაოების დაწყების და დასრულების ვადები კონტრაქტორთან არ არის განსაზღვრული.

**საკრებულოს წევრმა - ბესარიონ გოგოტიშვილმა** მიმართა ინიციატივით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ვიცე-მერს ჯაბა ტულუშს ქალაქში არსებული ქუჩების დანომრვასთან დაკავშირებით სამშენებლო კომპანიების დავალდებულების თაობაზე. აღნიშნა, რომ ბათუმი არის ტურისტული ქალაქი და მიაჩნია საქართველოს რუკის ფორმის აბრების განთავსება. ნიმუშად მოიყვანა გიორგი ანწუხელიძის ქუჩაზე განთავსებული საქართველოს რუკის ფორმის აბრა.

**საკრებულოს წევრმა - რაულ თავართქილაძემ** აღნიშნა:

- უერთდება პათოსს საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით, რაც ქვეყნისათვის მნიშვნელოვანია და ასევე კოლეგების მიერ დაყენებულ საკითხს ბიუჯეტის ცვლილებებთან დაკავშირებით, რაც ნამდვილად აუცილებელიც და საჭიროც არის, რადგან მნიშვნელოვან სფეროებში, კულტურა, სპორტი და სხვა გამოთავისუფლდა თანხები და ამას საჭიროა სხვადასხვა კუთხით გამოყენება, რაც დღევანდელი დროში ამ პანდემიიდან გამომდინარე საჭიროებას წარმოადგენს.

- ქუჩების მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოების თაობაზე. პრაქტიკულად რუსთაველის ქუჩა არის ჩაკეტილი და მოუწოდა დაჩქარებული სამუშაოების წარმოებაზე, რადგან ერთი პერიოდი ორი ქუჩა - გორგილაძის და რუსთაველის ერთად იყო ჩაკეტილი, რაც პრობლემებს ქნიდა, ეხლა ერთი გაიხსნა და მეორე პრაქტიკულად გადაკეტილია და საჭიროებს სამუშაოების დაჩქარებას, რადგან ეხლა ტურისტული სეზონია და მნიშვნელოვანია ქალაქისთვის. ორბელიანის ქუჩაზე განხორციელდა სამუშაოები, მიმდინარეობს გზის რეაბილიტაცია. იქ არსებული ფილები, რომლებიც დისკომფორტს ქმნიდა ამოღებულია და ასფალტის საფარის დაგების პროცესი მიმდინარეობს. განსაკუთრებით ბაგრატიონის ქუჩაზეა სავალალო

მდგომარეობა, სადაც ძველი დაგებული ფილებია და საავარიო სიტუაციას ქმნის. ქალაქში, განსაკუთრებით ბაგრატიონის ქუჩაზე, მთლიანად ავტოსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე კატასტროფული მდგომარეობაა და აუცილებლად უნდა მოხდეს ფილების დაგება. შესაბამისად, მიზანშეწონილია წელს ბიუჯეტში ამ დიდი ქუჩების ნაწილის რეაბილიტაციის ჩასმა.

- ქალაქში გარე ვაჭრობა პრაქტიკულად თითქმის აღმოფხვრილია, თუმცა ბაგრატიონის, ერისთავის და ჩხაიძის ქუჩების ცენტრალურ ნაწილში დგანან სატვირთო ავტომანქანები, ე.წ. ტრაილერები, საიდანაც პირდაპირ ხდება პროდუქტის ყიდვა-გაყიდვა, რაც აფერხებს მოძრაობას და პრაქტიკულად საცობები იქმნება. ახალი მაგისტრალის ამოქმედებამდე უცხოეთიდან შემოსული მანქანები ძირითადად ამ გზით მოძრაობენ. მოსახლეობის მოთხოვნაა აღნიშნული საკითხების მოგვარება. ასევე აღნიშნულ ტერიტორიაზე ითხოვენ ავტობუსის გაჩერების ჯიხურის გაკეთებას.

### **საკრებულოს წევრმა - ნატალია ზოიძემ აღნიშნა:**

- უპირველეს ყოვლისა უერთდება იმ საერთო პათოსს და ნამდვილად მისასალმებელია ის მიღწევები რაც საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით იქნება განხორციელებული, რასთან დაკავშირებითაც 29 ივნისს იქნა მიღებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება. აღნიშნულთან დაკავშირებით გამოთქვა მოსაზრება, რომ სოციალური ქსელი ააფეთქა რადიკალური პოზიციის პოსტებმა, რომლებიც საზოგადოებას ამოფარებულები ცდილობენ შექმნან ისეთი ილუზია თითქოსდა ქართულ ოცნებას არ სურდა. 2024 წლიდან ისედაც პროპორციულ არჩევნებზე გადადის ქვეყანა და რაც შეეხება ამ კონკრეტულ ცვლილებებს სუფთა დემოკრატიული პროცესების ფონზე წარმართა და საბოლოო შედეგი მაინც ისევ უმრავლესობის ძალისხმევით და სხვა არარადიკალური ოპოზიციის გადაწყვეტილებით იქნა მიღწეული და არა იმ რადიკალური ოპოზიციის, რომელსაც რატომღაც სურს მსხვერპლად წარმოაჩინოს თავი, თუნდაც დარბევების და რაღაც ძალადობის მსხვერპლად და ამ დროს ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტაში მონაწილეობაზე ამბობენ უარს.

- დიდი გულისტკივილი გამოთქვა ახალგაზრდა ფეხბურთელის - გიორგი შაქარაშვილის დაღუპვასთან დაკავშირებით. ტრაგედიაა, რომ კიდევ ერთი ახალგაზრდა მიდის ქვეყნიდან, თუმცა უდანაშაულობის პრეზუმცია უნდა იქნეს დაცული. ნდობა გამოუცხდა საგამოძიებო უწყებებს, რომ დასკვნები იქნება სწორად გაკეთებული.

- ბიუჯეტთან დაკავშირებით არ სურს, რომ შეიქმნას ისეთი ილუზია თითქოს არავინაა ინფორმირებული, მიდის მოლაპარაკებები, არის სხვადასხვა საფინანსო ვალდებულებები კოვიდ-19-თან დაკავშირებით. კომისიებთან და კომისიების შემდეგ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლებთან კომუნიკაციის საფუძველზე ცნობილია უახლოეს ხანებში საბიუჯეტო ცვლილებების წარმოდგენის თაობაზე, რაც საიდუმლო არ არის ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში და თუ ოპოზიცია ითანამშრომლებდა და დაესწრებოდა კომისიების სხდომებს, თავისთავად ინფორმირებული იქნებოდა აღნიშნულის თაობაზე.



**საკრებულოს წევრმა - ლევან ანთაძემ** აღნიშნა ქალაქში მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოების შესახებ და გამოთქვა უკმაყოფილება სამუშაოების წარმოების ტემპზე. რუსთაველის, ჯავახიშვილის, ტბელ აბუსერიძის, ნინოშვილის და ბაგრატიონის ქუჩებზე თვეობით გადათხრილი ასფალტის საფარის შესახებ, რაც ქალაქში იწვევს საშინელ საცობებს. მიუხედავად იმისა, რომ კარანტინის დროს ინფრასტრუქტურული სამუშაოები არ გაჩერებულა ბრძანებით არც რეკომენდაციებით და არც გაიდლაინებით. ინფრასტრუქტურული სამუშაოები მიდის მხოლოდ დღის რაღაც უმნიშვნელო მონაკვეთში. ზოგან საერთოდ შეჩერებულია, იგივე რუსთაველზე, იგივე ჯავახიშვილზე, ჭავჭავაძეზე, ფაქტიურად ყველა ცენტრალურ ქუჩაზე მიუხედავად იმისა, რომ ტურისტული სეზონია, საზღვარი დაკეტილია, ისედაც ვერ ჩამოდის ტურისტი და დაბრკოლება ექმნება შიდა ტურიზმს. კითხვით მიმართა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ვიცე-მერს - ჯაბა ტულუშს, რომ გამოეთქვა აზრი, თუ ვისგან იქმნება ეს დამატებითი პრობლემები, მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურების მხრიდან, თუ კონტრაქტორი კომპანიები ქმნიან აღნიშნულ გარემოს.

**საკრებულოს წევრმა - მუხამედ ართმელაძემ** აღნიშნა:

- საკონსტიტუციო ცვლილებების თაობაზე, რომ მაჟორიტარის პასუხისმგებლობა განსაკუთრებული იყო და ახლა უფრო განსაკუთრებული იქნება, რადგან რაოდენობა შემცირდა და მოსახლეობის რაოდენობაზე პასუხისმგებლობა, მათი ინტერესის გატარება უფრო მაღალი იქნება. ამ არჩევნებზე ყველა მაჟორიტარს წარმატება და იმ წარმატების ბოლომდე მიტანა, ბოლომდე შედეგის დადება უსურვა.

- ბოლო ერთი თვის განმავლობაში 2 ავტოსაგზაო შემთხვევის თაობაზე, რომელიც გამოწვეული იყო გზაჯვარედინებზე მცირეწლოვანი ბავშვების აქტივობით, ე.წ. თხოვნით, როცა ავტომფლობელებს თხოვენ დახმარებას და ეს პროცესი არ არის რეგულირებული. არის შემთხვევები, როდესაც მიზანმიმართულად ხდება დაზიანება, რომ შემდგომ ავტომფლობელებთან სხვა გარიგებაში შევიდნენ. თხოვნაა, რომ მერიამ და საკრებულომ ინიციატივით მიმართოს შესაბამის ორგანოებს, რათა ეს პროცესი იყოს მართული.

**საკრებულოს წევრმა - რაულ თავართქილაძემ** აღნიშნა, ბოლო 3 წლის განმავლობაში ჩვენს რეგიონში კრიმინოგენური მდგომარეობის თაობაზე. რაც შეეხება მძიმე დანაშაულებს კარგია, რომ სტაბილურია. ეს ამ უწყებების მესვეურების დამსახურებაა, თუმცა არის წვრილმანი დანაშაულები - ავტომანქანების აქსესუარების ქურდობის ფაქტები, რაც პრაქტიკულად მთლიანად აწუხებს მოსახლეობას. მოუწოდა ძალოვან სტრუქტურებს/სამართალდამცავებს, რომ ამ მხრივ გააქტიურონ მუშაობა. ასევე, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ვიცე-მერს ჯაბა ტულუშს მოუწოდა, რომ უფრო მეტი სათვალთვალო კამერები დაამატონ. ეზოებში, თუ სვადასხვა ადგილებში, რომ ადვილი იყოს ამოცნობა და ამ წვრილმანი დანაშაულების გახსნა.

**საკრებულოს წევრმა - ზურაბ ნაკაიძემ** აღნიშნა, რომ 29 ივნისს, საკრებულოს საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისიაზე თანხმობა იქნა მიცემული ბიუჯეტში გრანტთან დაკავშირებით ცვლილებაზე. აღნიშნული გრანტის მეშვეობით თბილისის მოედანზე მოეწყობა ავტომატური ბარიერები და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ვიცე-მერს, ჯაბა ტულუშს და მერიის კომპეტენტურ სამსახურებს კიდევ ერთხელ მიმართა თხოვნით, რომ იქვე წერეთლის ქუჩაზე მდებარე თბილისის და ქუთაისის სამარშრუტო ტაქსების წერტებში პარალელურ რეჟიმში გაკონტროლდეს ხმაური, განსაკუთრებით გამთენიისას დაუსრულებელი შეძახილები და სხვა. გთხოვთ მიხედოთ ბატონო ჯაბა პარალელურ რეჟიმში.

**სხდომის თავმჯდომარე - სულიკო თებიძე** დაეთანხმა წარმოთქმულ მოსაზრებას და აღნიშნა, რომ წერეთლის ქუჩაზე არ არის კარგი მდგომარეობა და თხოვა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ვიცე-მერს ჯაბა ტულუშს, საკითხის კონტროლზე აყვანა.

**საკრებულოს წევრმა - გოჩა მგელაძემ** პასუხი გასცა ბატონ რაულ თავართქილაძის მიერ წამოყენებულ წინადადებას, რომ ალ.ჩხაიძის ქუჩაზე უკვე კარგი სიტუაციაა, არც ერთი სატვირთო ავტომანქანა - „ტრაილერი“ აღარ დგას, კვირაა თითქმის, რაც მუნიციპალურ ინსპექციასთან და გამგებელთან ერთად მოწესრიგებულია სიტუაცია, რაზეც საკრებულოს წევრი რაულ თავართქილაძე არ დაეთანხმა.

**სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ** აღნიშნა, რომ ალ.ჩხაიძის ქუჩაზე არსებული მდგომარეობა გადამოწმდება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ.

**საკრებულოს წევრმა - დავით მახარაძემ** ისაუბრა ბათუმში, იახტ-კლუბთან დაკავშირებით შექმნილ სიტუაციაზე, სადაც საკმაოდ მძლავრი დინამიკებით აცხადებენ გემებით გასეირნების დაწყებას და ღირებულებას. აღნიშნული ხმაური დისკომფორტს უქმნის იქ არსებულ სხვადასხვა გასართობ ცენტრებში მყოფ ტურისტებს. ითხოვა შესაბამისი სამსახურების მიერ აღნიშნულის დარეგულირებაზე.

**სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ** აღნიშნა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტზე არსებული დიდი ინტერესის თაობაზე. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ვიცე-მერს ბატონ ჯაბა ტულუშს თხოვა განმარტება, მხოლოდ და მხოლოდ ბიუჯეტის გარშემო.

**ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ვიცე-მერი - ჯაბა ტულუში** - მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და ბიუჯეტის საკითხთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მიმდინარე თვის მეორე დეკადაში მიღებულ იქნა, ფინანსთა სამინისტროდან განახლებული მაჩვენებელი ბიუჯეტის შემცირებაზე. საორიენტაციო მაჩვენებელი დღგ-ს

გადასახადების ნაწილში 7 მილიონით შემცირდება, ასევე ქონების ნაწილში - ნახევარი მილიონი, რაც ჯამში 11 ნახევარი მილიონით შემცირდება აღნიშნული მაჩვენებლები, გარდა ამისა, გასული 2 კვარტლის მონაცემებით სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი, რომელიც მნიშვნელოვანი ნაწილი არის ბათუმის ბიუჯეტისა. ფაქტიურად 16 მილიონის ოდენობით უკვე მინუსშია. წელს სესხზე გადასახადი დაახლოებით 26 მილიონია. დიდ წილი არის KFW ბანკის სასესხო მომსახურების გადასახადი და ასევე ძირი თანხის გადასახადი და ასევე არის გარკვეულ წილად სასესხო და საპროცენტო მაჩვენებლის გადასახადი, მაგრამ მიმოწერა უკვე დასრულების ფაზაშია, სესხების რესტრუქტურისა, კერძოდ გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკთან მიმართებაში, რომელიც დაახლოებით 25 ნახევარ მილიონ ლარს შეადგენს. შესაბამისად განახლებული ბიუჯეტი მომავალი კვირის დასაწყისში შემოვა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დასამტკიცებლად.

**სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ** ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ვიცე-მერს ჯაბა ტულუშს თხოვა განმარტება, ინფრასტრუქტურულ პროექტებთან დაკავშირებით, რაზედაც ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ვიცე-მერმა - ჯაბა ტულუშმა აღნიშნა, რომ ინფრასტრუქტურულ პროექტებს რაც შეეხება საკმარისი გამოცდილება აქვს აღნიშნული პროექტების წარმოებაში და ის პროექტები რაც სრულდება თავისი სპეციფიკით ხასიათდება. კონკრეტულად ჯავახიშვილის ქუჩაზე მიმდინარეობს პროექტები, სადაც ორი პარალელური კომუნიკაციაა - წყალანირება და სანიაღვრე. ცენტრალური არხის მშენებლობა მიმდინარეობს და პარალელურად მის გვერდზე ღრმა დაახლოებით 5 ნახევრიდან 6 მეტრამდე სიღრმეში ხდება წყალარინების ხაზის მოწყობა, რომელიც ბათუმის პირობებში არის ურთულესი, რადგანაც გრუნტის წყლების, ანუ მიწისქვეშა წყლების შემოდიდება ხდება. რაც შეეხება რუსთაველის ქუჩას, 10 დღის განმავლობაში დასრულდება სამუშაოები. კონკრეტულად აღნიშნული სპეციფიკის სამუშაოები მოითხოვს გარკვეულწილად დროს. შესაბამისად ხდება მაქსიმალური ძალის მობილიზება.

**საკრებულოს წევრმა - ლევან ანთაძემ** აღნიშნა ინფრასტრუქტურულ სამუშაოებში თავისი პრაქტიკული გამოცდილების შესახებ და პრობლემას შესასრულებელი სამუშაოს დროში გაწევაში, 5 მეტრზე მეტ სიღრმეში არხების მოწყობაში კი არ ხედავს, არამედ ყოველდღიური მუშაობის რეჟიმის დარღვევაში, რაზედაც ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ვიცე-მერი - ჯაბა ტულუში არ დაეთანხმა.

**საკრებულოს წევრმა - ნატალია ზოიძემ** დასვა შეკითხვა, თუ ვინ ახორციელებს შესრულებული სამუშაოს შესახებ მონიტორინგს, რაზედაც ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ვიცე-მერმა - ჯაბა ტულუშმა განმარტა, რომ მონიტორინგს ახორციელებდა საერთაშორისო საინჟინრო კომპანია „პორშე პარტნიორი“, ადგილობრივი ინჟინრების დახმარებით.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ განაცხადა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყების და სხდომის განახლების თაობაზე.

**მ ო ს მ ი ნ ე ს :**

**საკითხი 1.** „ქალაქ ბათუმის გარკვეული ტერიტორიისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი მირიან მეტრეველი)

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ დღეს არის შემაჯამებელი სხდომა ამ საკითხთან დაკავშირებით. საქმისწარმოება დაწყებულია გასულ 2019 წელს, შეთანხმდა პირველი ეტაპი, გაიცა გეგმარების დავალება, 2020 წელს წარმოადგინეს კვლევები და სამუშაო მასალები, თუმცა შემდეგ დაიწყო პანდემიის პრობლემები და ველარ გაიმართა საჯარო განხილვა. აქედან გამომდინარე უკვე რამდენიმე თვეა მიმდინარეობს ეს საკითხი წარმოებაში. გასულ თვეს გაიმართა საჯარო განხილვა, მოწვეულ იქნა სპეციალისტები, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციები, დაინტერესებული მხარე. ინტერნეტის საშუალებით შეეძლოთ დაეფიქსირებიათ მოქალაქეებს თავიანთი აზრი. განსხვავებული რაიმე მიდგომა ან ნებისმიერი შენიშვნა არ იქნა წარმოდგენილი. აქედან გამომდინარე საბოლოოდ გამოდის დასამტკიცებლად განაშენიანების რეგულირების გეგმა. ეს არის მრავალფუნქციური შენობა, როგორც ტურისტული და სავაჭრო ობიექტებით და სასტუმრო აპარტამენტებისგან შემდგარი. არის რამდენიმე ბლოკი, 3, 8, და 38 სართულიანი. კ2 კოეფიციენტი არის დადგენილი ძველი რუკით, რაც მაშინ წარმოების პროცესში იყო - 3 და 0, მოთხოვნილია გაზრდა 5,4-მდე, ზონის ცვლილება არ არის დაგეგმილი და მოთხოვნილი.

**ა ზ რ ი**

**გ ა მ ო თ ქ ვ ე ს :**

საკრებულოს წევრმა - არჩილ მამულაძემ აღნიშნა - ეხლახან მადლობა გადაიხადა, რომ გარკვეულწილად მოწესრიგდა გადასასვლელი თამარის დასახლებაში. ეს ერთი ტერიტორიაა, ერთი სივრცეა, იქვე მდებარეობს მუსიკალური ცენტრი, სადაც მასობრივი ღონისძიებები ტარდება, უწყვეტ რეჟიმში ზაფხულის პერიოდში. ეხლა პანდემიასთან დაკავშირებით არის შეჩერებული. სადამოს საათებში აღნიშნულ ტერიტორიაზე, რომელიც ცენტრალურ გზას აკავშირებს, საცობებია. იქ სადაც ეს 38 სართულიანი შენობა უნდა აშენდეს არის ცენტრალური გზის ტერიტორია. ეს მშენებლობა უღთულეს მიდგომარეობაში ჩააგდებს მოსახლეობას და ტერიტორიაც გადაიტვირთება, როცა შეწყდება პანდემია და აღსდგება კულტურული ღონისძიებები. შესაბამისად, ეს მიდგომა არასწორია.

არაერთხელ ქონდა საუბარი გამოცალკევებული ფილარმონიის ტიპის შენობა-ნაგებობის არსებობის აუცილებლობაზე, რაზედაც ცალკე იქნება ინიციატივა.

საკრებულოს წევრმა - მირდატ ქამადაძემ აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ყოფილი მერის - გიორგი ერმაკოვის მთავარი დაპირება იყო ქალაქის განაშენიანების გეგმა და ამ დაპირებით მოვიდა ბატონი ლაშა კომახიძეც და ასე ნაწილ-ნაწილ როდემდე უნდა ვამტკიცოთ, მთლიანად ქალაქის განაშენიანების გეგმა რა ვითარებაში, როდის შემოგვაქვს საერთოდ, იმიტომ, რომ ერთხელ და სამუდამოდ ეგ საკითხი უნდა გადაწყდეს. ბიზნესმენტა აზრის გათვალისწინებით ნაწილ-ნაწილ გაცემა არ არის სწორი და ამიტომაც არის მოსახლეობის უკმაყოფილება. ადამიანებმა არ იციან წინასწარ ეს ქალაქი როგორი იქნება, ხვალ, 5 წლის შემდეგ და 10 წლის შემდეგ. ეჭვებიც ამოტომ ჩნდება, რომ სადღაც კ2 იზრდება, იქ ზონა იცვლება და ა.შ. და როდის გვექნება განაშენიანების გეგმა, ასე ნაწილ-ნაწილ როდემდე უნდა ვამტკიცოთ.

მომხსენებელმა განმარტა, რომ რაც შეეხება წარმოქმნილ საცობებს და გადასვლის პრობლემას კომისიებზე რამდენჯერმე გაიჟღერა, რომ კომპანია პროექტირების სტადიაზე წარმოადგენს გადასასვლელს, რომელიც იქნება საერთო სარგებლობის და განმუხტავს თვითონ მოქალაქეების, ფეხითმავალთა პრობლემებს. ეცდებიან მაქსიმალურად პროექტირების სტადიაზე არ მოხდეს გადატვირთვა იქ არსებული მდგომარეობის. ეს უნდა იყოს პროექტში ჩადებული და ამის პირობა იქნა მოცემული კომპანიის მიერ, პრეზენტაციაზეც ხიდის პირველადი ვარიანტი ქონდათ წარმოდგენილი. რაც შეეხება გენგეგმას, ეს დოკუმენტაცია ფაქტიურად არის რამდენიმე თვის წინანდელი. 2019 წელს დაწყებულია ბოლო წარმოება, რომელიც მიმდინარეობს ძველი კანონმდებლობით და მორგებულია მხოლოდ თავის ტერიტორიაზე. დღევანდელი კანონმდებლობა თავისთავად უკვე კოეფიციენტის გაზრდას გამოორიცხავს, გარდა კვარტალური განაშენიანების და დაგეგმარებისა. აქედან გამომდინარე მსგავსი ტიპის დაგეგმარება, ნებართვის გაცემა, თუნდაც განაშენიანების რეგულირების გეგმის ჩატარება დღეს უკვე, ისედაც აღარ შეიძლება. რაც შეეხება გენგეგმას, დამაბრკოლებელი ფაქტორია პანდემია და არ ხერხდება კომისიის ჩამოყალიბება, კონკურსის ჩატარება, პოტენციური ამხანაგობების შექმნა და სხვა.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ვიცე-მერმა ლაშა ტულუშმა აღნიშნა, რომ მიმდინარე კვირაში მოხდება პირველი შეხვედრა, არამარტო მუნიციპალიტეტის წარმომადგენლების, არამედ მოწვეული სპეციალისტების და აღნიშნულის თაობაზე კომისიის პირველი შეხვედრა მოხდება მიმდინარე კვირაში.

საკრებულოს წევრმა - რაულ თავართქილაძემ აღნიშნა, რომ ადრეც, საარჩევნო პროცესის დროს, ქონდა გეგმა წარმოდგენილი. გეგმის მიხედვით ქალაქის შემოსასვლელებში და გასასვლელებში ესტაკადები უნდა მოწყობილიყო. პრაქტიკულად ერთი ესტაკადა გაკეთდა, რკინიგზის გადასასვლელთან და ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რომელმაც განტვირთა ქალაქის შემოსასვლელში საცობები. ასევე შუქნიშანთან, კულტურის ცენტრთან რაღაც ამგვარი უნდა შემუშავდეს და გაკეთდეს. რა თქმა უნდა ამ შენობას ექნება მიწისქვეშა ავტოსადგომები, თუმცა იქიდან გასასვლელი, რაღაც ესტაკადა უნდა მოეწყოს, სადაც ძირითადად ხდება საცობი. აღნიშნულ ტერიტორიაზე უნდა მოხდეს დაგეგმარება ბენზეს და ქალაქ თბილისის მიმართულებით.

საკრებულოს წევრმა - მიხეილ ართმელაძემ აღნიშნა, რომ თამარის დასახლების კვეთაში ნამდვილად არის საცობების პრობლემა, ზოგადად ზაფხულში განსაკუთრებით, ერთ-ერთი გამოსავალი გზა არის, რკინიგზის გასწვრივ, სადაც არის ტერმინალი ის გზა ნაწილობრივ გაკეთებულია. არის მცირე მონაკვეთი დარჩენილი რომლებიც ნაწილობრივ დარეგისტრირებულია საკუთრებაში და ნაწილობრივ ჯერ კიდევ არ არის აღიარებული. გამოსყიდულ უნდა იქნეს ეს საკუთრებები და პარალელურად რკინიგზის გასწვრივ გაკეთდეს გზა, რაც მოხსნის სრულიად პრობლემას ბენზეს დასახლების, ზედა ორთაბათუმის დასახლების, მთლიანად გოგოლის ქუჩაზე გამოვა, გადასასვლელის გადაკვეთის გარეშე და ეს შეამცირებს იქ საცობებს. თხოვნაა ბატონო ჯაბა, თუ ამ პროექტში სამომავლოდ გავითვალისწინებთ ამ ინფრასტრუქტურულ მონაკვეთს. მცირე მონაკვეთი - ეს იყო: მერიის ტერიტორია, შემოღობეს, უღიარეს ნაწილობრივ, ნაწილობრივ არ არის აღიარებული, ჩვენ თუ ამას გავხსნით პირდაპირ გოგოლის ქუჩას დაუერთდება და ორივე მხარეა გაკეთებული. დღეს იქ ავტოტრანსპორტი მოძრაობს, სახიფათო სიტუაციაა და განტვირთავს აღნიშნულ ტერიტორიას მეტად.

საკრებულოს წევრმა - ზურაბ ნაკაიძემ აღნიშნა - რაც შეეხება აღნიშნულ პროექტს, პრეზენტაციაზე, რომელიც მოეწყო საკრებულოს შენობაში, იქ დავსვით ჩვენ რამოდენიმე კითხვა. პირველი კითხვა, ეს ეხება კულტურის სახლს, რაზეც კულტურის, ძეგლისა და მემკვიდრეობის სამინისტროს დეპარტამენტმა და სპეციალისტებმა დადებითი პასუხი გასცეს; მეორე კითხვა შეეხებოდა პარკინგს - პარკინგი ეწყობა ფაქტიურად იმაზე მეტი რამდენიც დღეს ეტევა; მესამე შეკითხვა იყო გამწვანება და გამწვანების კოეფიციენტი ძაან დიდია პროექტით და მეოთხე რაც შეეხება ფეხით გადასასვლელს - ფეხით გადასასვლელი კეთდება როგორც მოსახლეობისთვის აგრეთვე ამ კომპლექსისთვის. იქნება 3 ასასვლელი, ადაპტირებული იყოს აუცილებლად ეს გადასასვლელი. აქედან გამომდინარე მხარს დავუჭერ აღნიშნულ პროექტს.

საკრებულოს წევრმა - ლევან ანთაძე აღნიშნა - პრეზენტაციაზე არ დაურეკიათ თორემ სიამოვნებით მოვიდოდი და მომავალში თუ გაითვალისწინებთ კარგი იქნება, აქ თუ ჩატარდა მით უმეტეს. მაინტერესებს, მიწისქვეშა ავტოსადგომები თუ არის გათვალისწინებული და რამდენსართულიანი?

მომხსენებელმა განმარტა, რომ არის, ერთი სართულია მიწისქვეშა და მიწისზედა. ასევე ეტევა დაახლოებით ასამდე მანქანა, სულ არის 300 მანქანის ავტოსადგომი.

**სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 19

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 16

წინააღმდეგი - 3 (ა.მამულაძე, ლ. ანთაძე, მ. ქამადაძე)

**და ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

## მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

**საკითხი 2.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M2 კატეგორიის ავტობუსით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ტარიფის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის საქალაქო ტრანსპორტის და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის პოლიტიკის განყოფილების უფროსი - ემზარ ქავყარაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული არის ეკონომიკურ რეგულირებად სფეროდ ადგილობრივი სამგზავრო გადაყვანა და ამ დადგენილებაში შევიდა ცვლილება, დადგენილება იყო 2020 წლის 1 აპრილამდე და გაგრძელდა ეს დადგენილება 2022 წლის 1 აპრილამდე. შესაბამისად, შეგვაქვს ცვლილება ამ დადგენილებაში და დადგენილების მე-2 მუხლი ჩამოყალიბდება შემდეგნაირად: დადგენილება ამოქმედდეს 2018 წლის პირველი თებერვლიდან. დადგენილების მოქმედების ვადა განისაზღვროს 2022 წლის პირველ აპრილამდე.

## ა ზ რ ი

### გ ა მ ო თ ქ ვ ე ს :

საკრებულოს წევრმა - ლევან ანთაძემ აღნიშნა - დადგენილების არსი წავიკითხეთ ახსნა-განმარტებითი ბარათი, მაგრამ უფრო დაზუსტებით რომ გვითხრათ - კი ცვლით, მაგრამ რას ცვლით რომ გვითხრათ უფრო დაზუსტებით, არ იკითხება ყოველ შემთხვევაში.

მომხსენებელმა განმარტა - აქ უბრალოდ იცვლება ვადა დადგენილებაში. მთავრობის დადგენილება იყო 2014 წლის 5 დეკემბრის N667, დადგინილება ეხება ეკონომიკის რეგულარულ სფეროებად განსაზღვრას. ე.ი. ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანა განისაზღვრა, როგორც ეკონომიკის რეგულირებად სფეროდ. ე.ი. საკრებულოს დადგენილების გარეშე ტარიფს ვერ შეცვლის თვითნებურად ვერცერთი კომპანია იქნება თუ მძღოლი.

**სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 19

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 19

წინააღმდეგი - 0

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.



## მ ო ს მ ი ნ ე ს :

**საკითხი 3.** ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მნიშვნელობის ზოგიერთ საავტომობილო გზაზე საგზაო მოძრაობის ორგანიზების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის საქალაქო ტრანსპორტის და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის პოლიტიკის განყოფილების უფროსი - ემზარ ქავკარაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ რამდენიმე ქუჩაზე იცვლება მოძრაობის მიმართულება, ზოგიერთი ქუჩა ხდება ცალმხრივი. პირველი ეს არის ზურაბ გორგილადის ქუჩა, ქალაქ ბათუმში, ზურაბ გორგილადის ქუჩაზე დაწესდეს ავტოსატრანსპორტო საშუალებების ცალმხრივი მოძრაობა ნიკოლოზ ბარათაშვილის ქუჩიდან ივანე ჯავახიშვილის ქუჩამდე, ხოლო სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებების (M3 კატეგორია) მოძრაობისთვის გაკეთდეს სპეციალური განკუთვნილი ზოლი ე.წ. „BUS LINE“ და საპირისპირო მიმართულებით გორგილადის ქუჩაზე იმოდრავებს მხოლოდ ავტობუსი. ნიკოლოზ ბარათაშვილის ქუჩაზე ასევე გამოიყოს სამარშრუტო ზოლი ე.წ. „BUS LINE“ M3 კატეგორიის ავტობუსებისათვის, ეს იქნება გორგილადის ქუჩიდან ზუბალაშვილის ქუჩამდე. ასევე გორგასალის ქუჩაზე, როგორც ვიცით ცალმხრივი მოძრაობა არის ბარათაშვილის ქუჩიდან გრობიედოვის ქუჩისკენ და მიმართულება იცვლება და იქნება გრიბოედოვიდან ბარათაშვილის მიმართულებით. ასევე დაწესდეს ჭავჭავაძის ქუჩაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების ცალმხრივი მოძრაობა 26 მაისის ქუჩიდან გრიბოედოვის ქუჩამდე და უკუ მიმართულებით კეთდება ე.წ. „BUS LINE“ ავტობუსისათვის ჭავჭავაძის ქუჩაზე. პუშკინის ქუჩაზე ლორიას ქუჩიდან 26 მაისის ქუჩის მიმართულებით დაწესდეს ცალმხრივი მოძრაობა და ასევე გრიბოედოვის ქუჩა ტბ.აბუსერიძის ქუჩიდან რუსთაველის ქუჩის მიმართულებით იქნება ცალმხრივი.

## ა ზ რ ი

### გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

საკრებულოს წევრმა - რაულ თავართქილაძემ აღნიშნა, რომ ვზრუნავთ ქალაქში განტვირთვა მოხდეს და გარკვეული ცვლილებები ხდება. ეს მნიშვნელოვანია, თუმცა შედეგები როგორი იქნება არ ვიცით ჯერ-ჯერობით, თუმცა რაღაც ნაბიჯები რომ იდგმება ეს კარგია. მე ასევე მინდა გითხრათ რომ ამ მიმართულებით არა მარტო მიმართულებების შეცვლა, არამედ საჭიროა პუშკინის ქუჩის მოპირდაპირედ, ჭაობის მიმართულებით, სადაც პრაქტიკულად ქუჩები მოეწყო, ახალი ასფალტის საფარი დაეგო და გამართულია ინფრასტრუქტურა და სანიაღვრე არხები გაკეთდა, ბევრი რაღაცა გაკეთდა, პრაქტიკულად შუქნიშნები არ არის, უსაფრთხო აღარ არის მგზავრობა. იმ მიმართულებით ნაკლებად დადის ავტოსატრანსპორტი, თუმცა დადის ჩვეულებრივი

ავტომანქანები და ბევრი ავტოსაგზაო შემთხვევა ხდება. მოგიწოდებთ, რომ კომისია შექმნათ ან ჯგუფი შეიქმნას, რომელიც შეისწავლის ქალაქში რომელ ქუჩაზე საჭიროებას ითხოვს შუქნიშნების მოწყობა, ასეთი არის ძალიან ბევრი ადგილი, რომელზეც საჭიროება არის დღესდღეობით და სასწრაფოდ არის გასაკეთებელი შუქნიშნები. ქალაქის ცენტრალურ ადგილზე მელიქი-შვილის და პუშკინის ქუჩის მონაკვეთში ასფალტის საფარი ღრმად არის დაწეული და გთხოვთ, რომ ამასაც მიაქციოთ ყურადღება.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ვიცე-მერმა ჯაბა ტულუშმა განმარტა - ეს ცვლილებები ხდება კვლევების საფუძველზე, კონკრეტულად ეხლა რაც მიმდინარეობს გაეროს პროგრამის ფარგლებში განხორციელდა ეს კვლევები და დაფინანსებაც იქედან მოდის, რაც შეეხება მეორე თემას ქალაქის მდგრადი სატრანსპორტო სისტემის განვითარებას, აღნიშნულზე ასევე გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკი არის ჩართული, ფაქტიურად ხდება მთელი ქალაქის მასშტაბით შუქნიშნების ოპტიმიზაცია და აღნიშნული პროექტი დაგვიდებს იმის საჭიროებას, თუ როგორ თანხვედრაში უნდა იმუშაონ შუქნიშნებმა და სად უნდა განლაგდეს, რომელ ლოკაციებზე, ეს პროექტი მიმდინარე პროექტია, ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება უკვე გაკეთებულია და ფაქტიურად აქტიურ ფაზაში არის, უკვე შემდგომ ეტაპზეა - კონსულტანტის მოძიებაზე, აღნიშნულისთვის დაფინანსებაც გამოყოფილი არის, აღნიშნულზე იყო შეხვედრა თბილისისა და ბათუმის მასშტაბით. განხორციელდება საკმაოდ მსუყე ინვესტირება, რომელიც გულისხმობს ზუსტად ერთი პულტიდან მართვის სისტემის შექმნას, რაც ასევე მოიაზრებს თავისთავში შუქნიშნების, ასევე ყველა საგზაო ინფრასტრუქტურის ერთიანი სისტემით განვითარებას.

საკრებულოს წევრმა - მიხეილ ართმელაძემ აღნიშნა - რომ აი ამ ინდიკატორებით მივდივართ კვლევის საფუძველზე, იმიტომ რომ ყველაზე მთავარი ქალაქში არის ლოჯისტიკა - ფეხმავლის ლოჯისტიკა, ავტოტრანსპორტისთვის ავტობუსების ლოჯისტიკა და ა.შ., რომ ეს ყველაფერი მუშაობდეს სინქრომში და უკეთესი იქნება უბრალოდ, რადგან ასეთი საფუძველიანი, სიღრმისეული კვლევები მიმდინარეობს, რადგან აბსოლიტურად რადიკალურად შეიძლება შეიცვალოს ყველაფერი ამ კვლევების საფუძველზე ქალაქში მოძრაობა გადაანაწილდეს. დაველოდოთ ცვლილებებს, ასჯერ რომ მოსახლეობა არ გადაეწყოს სხვადასხვა სისტემაზე, შემდგომში, როდესაც

დავასრულებთ შევკვრავთ სრულ პაკეტს. ქალაქში შემოსასვლელელებში უნდა აშენდეს ავტოსადგურები ერთ მხარესაც და მეორე მხარესაც, შემდგომში ერთიანად გავაკეთოთ ეს ცვლილება, რათა დისკომფორტი არ შეექმნას მოსახლეობას. გამუდმებით ასე, რომ არ ვაკეთოთ ამოგლეჯილ-ამოგლეჯილ ქუჩებად და გაურკვეველად. შეიძლება ამ კვლევამ სულ სხვა შედეგი მოგვცეს და ახლებურად, სულ სხვაგვარად გახდეს გადასალაგებელი.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ განმარტა რომ აღნიშნული კვლევის შედეგია.

საკრებულოს წევრმა - ზურაბ ნაკაიძემ აღნიშნა - ეგ პროგრამა დამტკიცებული გვაქვს 2018 წელში, სტრატეგიაში შედის 2030 წლამდე და ეტაპობრივად მიდის, ეს არის სტრატეგია ქალაქის ტრანსპორტის დარეგულირების, სადაც გათვლილია ყოველწლიურად რა უნდა გაკეთდეს.

საკრებულოს წევრმა - ლევან ანთაძემ აღნიშნა - ნამდვილად ასეა საქალაქთაშორისო ტერმინალები უნდა შექმნილიყო, ამაშიც არის გარკვეული სიმართლე და დროში რომ გაიწელა, თუნდა ეს ბასლაინების თემა, ესეც ფაქტია, ეს გეგმა თუ არ ვცდები 2018 წელს დავამტკიცეთ დასაწყისში და იმის შემდეგ ფაქტიურად არაფერი არ განხორციელებულა. დავიწყეთ ორი აზრი არ არის, სულ გაჩერებას ჯობია რომ დავიწყეთ კეთება, რა თქმა უნდა მნიშვნელოვანია ტერმინალები და 2 წელი ალბათ საკმარისი იყო, რომ ეს სამუშაოები განხორციელებულიყო. მე მაინტერესებს თუნდაც პუბლიკის ქუჩაზე როგორ აპირებთ იგივე 26 მაისის ქუჩის გაცალმხრივებას, ტექნიკურად როგორ უნდა გააკეთოთ, გადაკეტავთ ქუჩას, მანამდე ორმხრივია 26 მაისის ქუჩამდე და მერე წრიულს აკეთებთ, თუ როგორ უნდა გააკეთოთ. კვლევა რაც არის ძალიან კარგი დოკუმენტია, უბრალოდ ავღნიშნავ, რომ შესრულება უნდა და დავიწყეთ სადღაც დან 2 წლის თავზე, კვლევა არის ზოგადი დოკუმენტი და ეს ტექნიკური დეტალები თუ გაქვთ გავლილი, რადგან ტექნიკურად მარტივი არ არის.

ტექნიკურად რა თქა უნდა ეს აღჭურვილი იქნება მონიშვნებით და საგზაო ნიშნები, დაიდგმება 26 მაისის ქუჩის გადატვირთვაც რომ არ მოხდეს, როგორც იცით ჭავჭავაძის ქუჩიდან მოგვიწევს ჩვენ სამარშრუტო ტაქსების გადაყვანაც და ამიტომ სხვადასხვა ქუჩებზე ვაპირებთ ამათ გადანაწილებას, ტექნიკური დეტალები გავლილია. კვლევის გარდა ისევ თავიდან ჩატარდა

კვლევა ამ ბასლაინების თაობაზე, იქ შესწავლილ იქნა ეს ყველა ქუჩები, რომ არ შექმნილიყო ე.წ. საცობები და რა თქმა უნდა პატარ-პატარა ცვლილებების შეტანა მერვე მოგვიწიოს, მაგრამ ძირითადი კვლევები ჩატარებულია.

საკრებულოს წევრმა - ლევან ანთაძემ აღნიშნა - გარკვეული ინფრასტრუქტურული სამუშაოებიც იქნება ჩასატარებელი და ეს გათვალისწინებულია ბიუჯეტში თუ ცვლილების დროს უნდა გამოვიდეს, ალბათ რაღაც ფინანსებთან, ალბათ კი არა აუცილებლად იქნება, თუნდაც „ბას ლაინის“ მოწყობა.

მომხსენებელმა განმარტა - ბასლაინის მოწყობას და ა.შ. აფინანსებს თავიდან ბოლომდე გაეროს განვითარების ფონდი. ინფრასტრუქტურული პატარ-პატარა ცვლილებები იქნება - საგზაო ნიშნების შეცვლა იქნება საჭირო და. ა. შ.

საკრებულოს წევრმა - ზურაბ ნაკაიძემ აღნიშნა - საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისიის სხდომაზე განხილულ იქნა და 5%-ის ფარგლებში გაცემულია ეგ ცვლილებები.

საკრებულოს წევრმა - მირდატ ქამადაძემ აღნიშნა - ამ საკითხს მხარს დაუჭერთ უბრალოდ რაღაცა ბევრი კითხვები არსებობს არ ვიცი საბოლოო ჯამში გამართლებული იქნება თუ არ იქნება, მაგრამ ამ მოცემულობით, რასაც ვუყურებ მისაღებია, უბრალოდ რაღაცეების დაზუსტება მინდა. ეს გამოიწვევს თუ არა ამ შემთხვევაში ბარათაშვილის ქუჩის გადატვირთვას, როგორ ფიქრობ, ორმხრივი რჩება? არ გამოიწვევს ამ ქუჩის გადატვირთვას? 26 მაისის ქუჩა ჭავჭავაძიდან პუშკინამდეც ორმხრივი რჩება? და კიდევ საკითხი რაც მაინტერესებს 16 ოქტომბერს უნდა დასრულდეს?

მომხსენებელმა განმარტა - არაუგვიანეს 16 ოქტომბრისა.

საკრებულოს წევრმა - მირდატ ქამადაძემ აღნიშნა - ამდენ დროს რა ითხოვს, შეიძლება ვერ ვერკვევი ტექნიკურად და საგზაო მიმართულებები რომ შევცვალოთ ანუ გვჭირდება საგზაო მიმართულებების შეცვლა და საგზაო ნიშნების შეცვლა. შეიძლება ეს დილექტანტური კითხვაა, მაგრამ კიდევ რა გვაქვს ისეთი გასაკეთებელი, რომ ამდენი დრო გვჭირდება.

მომხსენებელმა განმარტა, რომ ტენდერი უკვე გამოცხადებულია.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ვიცე-მერმა ჯაბა ტულუშმა დამატებით განმარტა - იქ უნდა მოხდეს „ბას ლაინების“ დახაზვა, არსებული ნახაზების წაშლა, ავტობუსების გაჩერება ხდება უკვე შუა გზაგამყოფზე, ჭავჭავაძეზე 26 მაისის ქუჩიდან თბილისის მოედნამდე, ეს ტექნიკური მხარე არის, რომელიც დროში არ არის გაწერილი, მაგრამ მაქსიმუმ 16 ოქტომბრამდე იმიტომ რომ სატენდერო პროცედურები თავისი სპეციფიკით ხასიათდება, შეიძლება გადაიწიოს, ვიღაცამ გაასაჩივროს, ანუ ყველაფერი ერთობლიობაში მაქსიმუმ ვადა გვაქვს აღებული, რომ მაქსიმუმ 16 ოქტომბრამდე მოხდეს ამის განხორციელება.

საკრებულოს წევრმა - თამაზ სალუქვაძემ მიმართა მომხსენებელს, რომ ეს თეორიულად ყველაფერი ნათელია, წავიკითხეთ, გავეცანით, მოვიწონეთ, მაგრამ პრაქტიკაში შესვლის შემდეგ, აი მუშა პროცესის დროს წარმოქმნილი სავარაუდოდ ახლა ისმება კითხვები, რომ იქ საჩოთირო ქუჩები იქნება, მართლაც სასწრაფოდ რაღაც ღონისძიებაა მისაღები, თუ ამაშიც დროში გაწე-ლილი იქნება?

მომხსენებელმა განმარტა - არა, რაც შეეხება „ბას ლაინებ“-ს ამ „ბას ლაინები“ - ს ცვლილება არ დაგვჭირდება და თუ იქ ელემენტალურად რომელიმე ქუჩაზე, რაღაც პატარა გადატვირთვა გვექნება, იმის შეცვლას მინიმალური დრო დაჭირდება.

**სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 19

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 19

წინააღმდეგი - 0

**და ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

**მოისმინეს:**            **საკითხი 4.** „ქალაქ ბათუმში, მაიაკოვსკის ქუჩის ნაწილისთვის წმინდა დიაკონი სევერიანე აჭარელის აღმსარებლის სახელის მინიჭების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - ირაკლი პატარიძე)

მომხსენებელი აღნიშნა, რომ როგორც ყოველთვის განათლების კომისია სასიხარულო ამბით არის დღესაც. საქმე ეხება ქუჩის სახელდებას და ჩვენ გვექნება ძალიან მალე ქალაქში წმინდა სევერიანე აჭარელის ქუჩა. მოგახსენებთ განკარგულების პროექტს.

ქალაქ ბათუმში მაიაკოვსკის ქუჩის ნაწილისთვის წმინდა დიაკონი სევერიანე აჭარელის აღმსარებლის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრების გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და მე-7 მუხლის შესაბამისად, მიზანშეწონილია ქალაქ ბათუმში, მაიაკოვსკის ქუჩის ნაწილს, დავაზუსტებ, დავაკონკრეტებ რატომ ნაწილს იმიტომ რომ ბონის კულტურის სახლთან მოეწყო წრიული და ფაქტიურად მაიაკოვსკის ქუჩა გაიყო ორ ნაწილად და გაიჭრა და გამომდინარე იქედან, რომ მაიაკოვსკის ქუჩის ერთი ნაწილის სრული შემადგენლობის ხელწერები გვაქვს იმასთან დაკავშირებით, რომ ამ ნაწილს გადარქმეოდა მაიაკოვსკის ქუჩა და დარქმეოდა წმინდა სევერიანე აჭარელის ქუჩა, შესაბამისად განვიხილეთ როგორც კომისიურად, ასევე შესაბამის ორგანოს გადავუგზავნეთ საქართველოს ეკონომიკის სამინისტროში და იქედანაც მოვიდა დადებითი პასუხი. ქალაქ ბათუმში, მაიაკოვსკის ქუჩის ნაწილს ე.ი. ავტოსადგურიდან ბონის კულტურის სახლამდე მიენიჭოს წმინდა დიაკონი სევერიანე აჭარელის აღმსარებლის სახელი (თანახმად თანდართული სიტუაციური გეგმისა). მაგრამ აქ ერთი შენიშვნა, ერთი ინიციატივა არის ასეთი, ბატონო სხდომის თავმჯდომარე გთხოვთ, ცვლილებით უყაროთ კენჭი ამ საკითხს და დააყენოთ საკითხი, ანუ ეს საკითხი არის შეთანხმებული მეუფესთანაც, ვინაიდან სახელდება არის ძალიან გრძელი, ასე ვთქვათ ჩვენ გვაქვს ერთი წმინდანის ქუჩა და იქ წერია უბრალოდ 3 სიტყვიანი სახელით და აქაც რომ ასე შემოვიფარგლოთ, არ იყოს სახელად ასე ვთქვათ წმინდა დიაკონი სევერიანე აჭარელის აღმსარებლის ქუჩა და იყოს წმინდა სევერიანე აჭარელის ქუჩა, ამ ცვლილებით ვუყაროთ თუ შეიძლება კენჭი. დაევალოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას წინამდებარე განკარგულების თანახმად, განახორციელოს შესაბამისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებები. აქვე მინდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას თან შევახსენო და თან ვთხოვო ჩაინიშნოს ის რომ წმინდა სევერიანე აჭარელის დღედ მისი გარდაცვალების დღე აღინიშნება 2018 წლიდან, ის 2017 წელს შერაცხეს წმინდანად, 2018 წლიდან, ანუ 22 აგვისტოს საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესია ისტორიაში პირველად აღინიშნება წმინდა დიაკონი სევერიანე აჭარელის აღმსარებლის დღედ და იქნებ დავამთხვიოთ, 22 აგვისტოს მოვახერხოთ ქუჩის გახსნა. ეს სიმბოლურიც იქნება და შესაბამისად სასიხარულოც.

აზრი

გამოთქვეს:

საკრებულოს წევრმა - რაულ თავართქილაძემ აღნიშნა, რომ ძალიან კარგი ინიციატივაა და ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია, ასეთი ღირსეული და ასეთი დიდი ადამიანის ქუჩას რომ ენიჭება, მაიაკოვსკის ქუჩას, თუმცა ვფიქრობ რომ, მაიაკოვსკის ქუჩა საერთოდ არ უნდა იყოს და ვფიქრობ მთლიანად დარქმეოდა მაიაკოვსკის ქუჩას აი ამ დიდებული ადამიანის სახელწოდება, ეს უფრო მნიშვნელოვანია იმიტომ, რადგან ვფიქრობ ეს ქუჩა არ უნა დარჩეს ამ ქალაქში. ეს ერთი საკითხი და მეორე ვფიქრობ რომ დასაჩქარებელია ზოგიერთი ჩვენი ინიციატივებიც, მაგალითად გასულ წელში ალექსანდრე დიუმას საკითხი დავაყენე, შემდეგ ბატონმა არჩილმა და ჩვენ ფრაქციამ ერთობლივად ავგიის ქუჩის შეცვლა მოვითხოვეთ.

მომხსენებელმა განმარტა, რომ წინა კომისიაზე ერთხმად შევთანხმდით, რომ ქუჩებთან დაკავშირებით ჩავნიშნეთ უკვე ცალკე სხდომა, მხოლოდ ქუჩებთან დაკავშირებით, 6 რიცხვში ჩავნიშნეთ თუ არ ვცდები, 6 რიცხვში გვექნება გაფართოებული სხდომა ქუჩებთან დაკავშირებით, იქ ვიმსჯელებთ მთელ რიგ საკითხებზე, რომელიც შეეხება ასე ვთქვათ ბათუმში ქუჩების სახელდებასთან არსებულ პრობლემებს.

საკრებულოს წევრმა - არჩილ მამულაძემ აღნიშნა - მართლაც მივესალმები ამ ინიციატივას და მადლობა ამისათვის, მაგრამ ჩემი რჩევაა უბრალოდ ის სრული სახელწოდება დარჩეს, მერე რომ არ იყოს ამაზე რაიმე განსჯა.

მომხსენებელმა განმარტა, რომ შეთანხმებულია და ეს მისი პირადი ინიციატივა არ არის, მეუფესთანაც შეთანხმებულია და ზოგადად თუ მისაღებია 6 სიტყვიანი სახელი გამოდის ქუჩაზე დარქმევა და გამომდინარე აქედან შესაძლებელი არის და მისაღები იქნება, რომ წმინდა სევერიანე აჭარელის ქუჩა დაერქვას და ამოვიღოთ ის 3 სიტყვა, რომელიც ასე ვთქვათ აგრძელებს უფრო ქუჩის დასახელებას.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 19

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 19

წინააღმდეგი - 0

**და ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :**

**საკითხი 5.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირების და პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგოების და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 მარტის №28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტით ცვლილება შედის ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხაში. აღნიშნულ საშტატო ნუსხაში ცვლილება გამოიწვია კანონმდებლობაში ცვლილების შეტანამ, კერძოდ სისტემური და სპორადული რეგისტრაციის შესახებ ცვლილებიდან გამომდინარე. აღნიშნული ცვლილებით დაგვემატა ფუნქცია მიწის რეგისტრაციის ნაწილში, შესაბამისად განყოფილება, რომელიც ძირითადად დატვირთულია აღნიშნული ფუნქციებით, ვერ უმკლავდება. შესაბამისად, საჭიროებს შტატების დამატებას, ამიტომ მოგეხსენებათ განათლების სამსახურში არსებობდა ვაკანტური თანამდებობა. შესაბამისად ხდება აღნიშნული თანამდებობის გადმოტანა მხოლოდ და არა ფინანსური ნაწილის, ახალი შტატი არ ემატება, უბრალოდ ერთი განყოფილებიდან მეორე განყოფილებაში ხდება შტატის გადმოტანა.

**ა ზ რ ი**

**გ ა მ ო თ ქ ვ ე ს :**

საკრებულოს წევრმა - არჩილ მამულაძემ აღნიშნა, რომ ამ განყოფილებას აქვს სულ 2 შტატი, თუ ამ შტატს მოვაცილებთ ამ განყოფილებას, მაშინ საერთოდ განყოფილების უფროსი რაღა საჭიროა?



საკრებულოს წევრმა - ლევან ანთაძემ აღნიშნა, რომ განყოფილება იმიტომ არის, რომ თანამშრომლი უნდა ყავდეს, განყოფილების უფროსი იქნება თანამშრომლების გარეშე?

მომხსენებელმა განმარტა - ეხლა წარმოდგენილია ცვლილებით და განყოფილებაში არის ერთი სპეციალისტი.

**სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 17

კენჭისყრისას სხდომას არ ესწრებოდა: 2 (ი. პატარიძე, დ.ჭეიშვილი)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 17

წინააღმდეგი - 0

**და ა ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :** საკითხი 6. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის უფლების საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 თებერვლის №17 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ - დავით კოპინაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დადგენილების მიღება გამოწვეულია რიგი საკითხებით: პირველი საკითხი ეს წარმოადგენს პანდემიასთან დაკავშირებით გამოწვეული კრიზისია აღნიშნულ გარე მოვარეებთან მიმართებაში. ეს დადგენილება მიღებულ იქნა ზუსტად პანდემიამდე, გაზრდილ იქნა ფასები, უნდა დარეგულირებულიყო მეტწილად ქალაქში გარე ვაჭრობა და და გარე ვაჭრობის რეგულირების წესი, თუმცა პანდემიამ მოგვისწრო და შესაბამისად აღნიშნული მოსარგებლები ჩავარდნენ მძიმე სიტუაციაში. აღნიშნულიდან გამომდინარე ვითვალისწინებთ რა დღევანდელ მდგომარეობას, ვათავისუფლებთ იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, რომლებიც დღეის მდგომარეობით უფლების ვადაში იმყოფებიან, ამასთანავე ვიტოვებთ 2 თვის უფლებას, რათა მომზადდეს ახალი რეგულირების წესი, თუ რა გზით შეიძლება წავიდეთ პირდაპირი განკარგვის წესით მოხდეს გარე ვაჭრობის უფლების რეგულირება, ანუ სარგებლობის უფლების ვადის განსაზღვრა, ამიტომ წარმოდგენილია აღნიშნული დადგენილების პროექტი.

**ა ზ რ ი**

**გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:**

საკრებულოს წევრმა - მირდატ ქამადაძემ აღნიშნა - ბუნებრივია მხარს ვუჭერ უბრალოდ ამასთან დაკავშირებით განცხადება უნდა გავაკეთო, ის რომ ზუსტად თავის დროზე ე.ი. ყბადაღებული თემა, ანტიკრიზისული გეგმა, რომელზეც მსჯელობაც არ ისურვეთ არცერთმა ქართული ოცნების წევრმა, სწორედ ამ საკითხებს ითვალისწინებდა და ერთერთი პუნქტი სწორედ ეს იყო და დღეს მივესალმები, მართალია ძალიან გვიან, მაგრამ ამ მიმართულებით, რომ დაიწყეთ ფიქრი და მუშაობა. ასე, რომ მხარს ვუჭერთ ამ საკითხს.

**სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 17

კენჭისყრისას სხდომას არ ესწრებოდა: 2 (ი. პატარიძე, დ.ჭეიშვილი)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 17

წინააღმდეგი - 0

**და ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :**

**საკითხი 7.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის N34 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ - დავით კოპინაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ცვლილებით მცირედით - 5 მიწის ნაკვეთით შემოვიფარგლებით, თითოეული წარმოდგენილია თავისი მისამართებით, საკადასტრო კოდებით.

**ა ზ რ ი**

**გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:**

- საკითხთან მიმართებაში აზრი არ გამოთქმულა.

**სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 17

კენჭისყრისას სხდომას არ ესწრებოდა: 2 (ი. პატარიძე, დ.ჭეიშვილი)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 17

წინააღმდეგი - 0

**დაადგინეს: მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.**

**მოისმინეს:**

**საკითხი 8.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ.ბათუმში, სვიშევსკის ქ.№1-ში მდებარე უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ - დავით კოპინაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მიწის ნაკვეთი წარმოადგენდა სახელმწიფოს საკუთრებას, სახელმწიფოს როგორც ასეთი პირდაპირ გადაცემის უფლება არ აქვს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაზე, აქედან გამომდინარე მოთხოვნა იყო გაკეთებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკიდან, რადგან შუამდგომლობა გაგვეწია სახელმწიფო ეროვნული სააგენტოსათვის, გაგზავნილ იქნა მოთხოვნა, გადმოცემულ იქნა ეროვნული სააგენტოდან. აღნიშნული მიწის ნაკვეთი ემსახურება სტუდენტური ქალაქის მოწყობას, აქედან გამომდინარე ვართ როგორც ასეთი გამტარი და გთხოვთ, შევუწყოთ ხელი ქალაქის განვითარებას.

**აზრი**

**გამოთქვეს:** - საკითხთან მიმართებაში აზრი არ გამოთქმულა.

**სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 17

კენჭისყრისას სხდომას არ ესწრებოდა: 2 (ი. პატარიძე, დ.ჭეიშვილი)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 17

წინააღმდეგი - 0

**დაადგინეს: მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.**

**მ ო ს მ ი ნ ე ს :** **საკითხი 9.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის ქირის საწყისი წლიური საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ - დავით კოპინაძე)

მომხსენებელმა და აღნიშნა, რომ წარმოდგენილია კონკრეტული მიწის ნაკვეთი, სადაც განსაზღვრულია კონკრეტული ფასი. წლიური იჯარის გადასახადი მთლიან ჯამში წარმოადგენს სადღაც 383 ათას ლარს ეგრეთ წოდებული პანორამული (ემმაკის) ბორბალი და მის გვერდით არსებული მიწის ნაკვეთი. შესაბამისად იმ თანხით არის გამოტანილი რა ფასიც დადგინდა ვაჭრობის შედეგად

**ა ზ რ ი**

**გ ა მ ო თ ქ ვ ე ს :**

საკრებულოს წევრმა - ლევან ანთაძემ აღნიშნა, რომ მეტი ფასით ჩატარდა აუქციონი.

მომხსენებელმა განმარტა, რომ ფასი იგივე იყო აუქციონის შედეგით.

საკრებულოს წევრმა - ლევან ანთაძემ აღნიშნა - ეხლა პირდაპირ გადაცემა ხდება?

მომხსენებელმა განმარტა - ჯერ ფასს ვადგენთ და აუქციონზე გამოვიტანთ ამ ფასად.

საკრებულოს წევრმა - ზურაბ ნაკაიძემ აღნიშნა, რომ დღევანდელი მდგომარეობიდან გამომდინარე დარწმუნებულია ეს აუქციონი ჩაიშლება, იმიტომ რომ, მაშინ ტურისტული ბუმი იყო და ავიდა დიდ თანხაზე. ასე, რომ არარეალური ფასია, მაგრამ როგორც აგვიხსნეს იურიდიულად ასე უნდა მოვიქცეთ.

მომხსენებელმა განმარტა, რომ შესაძლებელი კითხვები არსებობს და იარსებებს, იქედან გამომდინარე, რადგანაც ეს ობიექტი არის ერთადერთი, ეს არ არის რამოდენიმე ქალაქში, ტურისტებისთვისაც და ყველასთვის საინტერესო თემაა პანორამული (ემმაკის) ბორბალი და მის გვერდით არსებული ტერიტორია, მოგეხსენებათ მდებარეობს განსაკუთრებულ ადგილას ტურისტებისთვის, ამიტომ ვინაიდან ფასი იყო დადგენილი და დღემდე არსებობდა ეს ფასი და ფუნქციონირებდა, მუშაობდა შესაბამისი ორგანიზაცია და იხდიდა ამ გადასახადს, სამართლებრივად მიზანშეწონილია მოხდეს აღნიშნული თანხით გატანა, და თუ არ ჩატარდა შემდგომ ვიმსჯელებთ ისევ.

საკრებულოს წევრმა - ლევან ანთაძემ აღნიშნა - სეზონი გადის და ვადა როდის გასდის?.

მომხსენებელმა განმარტა, რომ ვადა გასული აქვს უკვე.

საკრებულოს წევრმა - ლევან ანთაძემ აღნიშნა - ახლა რომ ფუნქციონირებს, რის საფუძველზე ფუნქციონირებს?

მომხსენებელმა განმარტა - ნებართვის გარეშე ფუნქციონირებს, შესაბამისად ხდება მასზე ჯარიმების დაკისრება.

საკრებულოს წევრმა - ლევან ანთაძემ აღნიშნა - და ზაფხულს ასე გადაივლის? რა თქმა უნდა ჩავარდება, თქვენ როდის გამოაცხადებთ მაგას და თავის დროზე რატო ვერ გამოაცხადეთ?

მომხსენებელმა განმარტა - ვერ გამოცხადდა იქედან გამომდინარე, რომ პანდემია იყო, პანდემიის დოს აუქციონები აკრძალულია და შესაბამისად, ხელშეკრულების შეწყვეტის შემდგომ გატარებულ იქნა ყველა სამართლებრივი ღონისძიება თანხის დაკისრების ნაწილში და გამოთავისუფლების ნაწილში.

**სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 18

კენჭისყრისას სხდომას არ ესწრებოდა: 1 (ი. პატარიძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 17

წინააღმდეგი - 1 (ლ. ანთაძე)

**და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.**

## მ ო ს მ ი ნ ე ს :

**საკითხი 10.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ბულვარში, პარკში, სკვერში მოტოციკლით, კვადროციკლით და ელექტრომობილით (ელექტროტრანსპორტით) გადაადგილების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 5 მარტის №4 დადგენილების ნაწილის მოქმედების შეჩერების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ - დავით კოპინაძე)

მომხსენებელმა და აღნიშნა, რომ დადგენილება მიღებული იქნა 2018 წელს, სადაც აკრძალული იქნა აღნიშნული საშუალებებით გადაადგილების უფლება ბათუმის ცენტრალურ ნაწილში, მხოლოდ 2019 წლის დეკემბრამდე ქონდათ უფლება გადაადგილებისა ახალი ბულვარიდან დელფინარიუმის გასწვრივ. ქვეყანაში არსებული დღევანდელი სიტუაციიდან გამომდინარე და მოსარგებლების მხრიდან შემოსული თხოვნის შესაბამისად, ვითვალისწინებთ რა მათ მდგომარეობას და ქვეყანაში არსებულ სიტუაციას - ვადას ვწევთ 2020 წლის 1 დეკემბრამდე.

## ა ზ რ ი

### გ ა მ ო თ ქ ვ ე ს :

საკრებულოს წევრმა - მირდატ ქამადაძემ აღნიშნა - თავის დროზე ამ გადაწყვეტილებას მიღების წინააღმდეგი იყო და მიაჩნია, რომ არ უნდა შეიზღუდოს, მით უმეტეს ამ ვითარებაში და დააყენა ამ საკითხთან დაკავშირებით წინადადება, ცვლილებით ეყაროს კენჭი. თუ პანდემიას და ამ მდგომარეობას ვითვალისწინებით მთელი ბულვარის ტერიტორიაზე მიეცეთ ამ ადამიანებს მოძრაობის უფლება.

საკრებულოს წევრმა - ნატალია ზოიძემ განმარტა - წლების მანძილზე დაგროვილი პრობლემის მოგვარების გზაზე დაყენება არის დაწყებული და ისევ იმ პრობლემებს უკან თუ უბრუნდებით, ვერაფრით ვერ დავარქმევ ამას სწორ და საღ მიდგომას. ეს უფრო რაღაც საარჩევნო სპეკულაციის თემა მგონია, ამიტომ ალბათ უფრო იმ მოსარგებლის მისამართით ვიტყვი ამას, ისინი თვითონ საღად უყურებენ ამ დამოკიდებულებას და თვითონ გამოთქვენ აზრი იგივე საზღვრებში დავრჩენაზე და ნუ გათამამდებიან ვთქვათ ამ არასწორი განცხადებით იქედან გამომდინარე, რომ თუ ჩვენ მივდივართ იმ სახელმწიფოს შენებისკენ სადაც წესრიგი, დისციპლინა, რეგულაცია, კანონი პატივისცემას უნდა იმსახურებდეს სპეკულაციებს ნუ გამოვიყენებთ საარჩევნოდ და ნუ დავარღვევთ იმ წესებს.

საკრებულოს წევრმა - დიმიტრი ჭეიშვილმა შეახსენა, კოლეგებსაც და დამსწრე საზოგადოებასაც, რომ შარშან ამ ადამიანებთან ქონდათ საკმაოდ მრავალრანდიანი მოლაპარაკებები, ჩვენ ვთანხმდებოდით იმასთან დაკავშირებით, რომ იყო საფრთხის შემცველი და შარშანვე იყო პოზიცია, რომ საერთოდ გაუქმებულიყო, გამომდინარე იქედან, რომ ამ ადამიანებს დროულად ვერ შევატყობინეთ, რომ ქონდათ მსგავსი ზრახვები, მათი თხოვნის გათვალისწინებით დავტოვეთ შესაბამისი რეგულაციები და საზღვრები და იდეაში შევთანხმდით, რომ წელს საერთოდ არ იქნებოდა, იმიტომ რომ იმ წელს ქონდათ ამ ხალხს წინასწარ გაწეული ხარჯები და წელს მაინც გვაცალეთ, რომ ეს ჩვენი ხარჯი ამოვიღოთო. გამომდინარე იქედან, რომ ამ ადამიანებმა ვერ მოახერხეს პანდემიის გამო ამ საკუთარი ბიზნესის თუნდაც სხვა ბიზნესზე, მცირე ბიზნესზე მაქვს საუბარი, გადაწყობა, შევედით ჩვენ მათ მდგომარეობაში და წელს იგივეს, რაც ითხოვეს ვტოვებთ. აქედან გამომდინარე მე მესმის ეს პოზიცია, შეიძლება ადამიანურიც იყოს უნდა იმ ხალხმა კიდევ იმუშაოს ჩვენც გვინდა, მაგრამ ამავე დროს ჩვენ უნდა ვიფიქროთ იმ ადამიანების უსაფრთხოებაზე, რომლებიც გვქონდა, სანამ ამ რეგულაციებს მივიღებდით დღეში 3, 4 შემთხვევა ადამიანების დასახიჩრებით, მხოლოდ დაზარალების არა, საავადმყოფოში მკურნალობა ჭირდებოდა ისეთ დღეში ვარდებოდა ხალხი და შემდეგ ამ რეგულაციამ რაღაც დოზით გამოგვისწორა. პანდემიიდან გამომდინარე ჩვენ სრულად შევედით ამ ადამიანების მდგომარეობაში და წელს კიდევ, მიუხედავად იმისა, რომ წელს საერთოდ უნდა აკრძალულიყო ეძლევათ მათ მუშაობის საშუალება.

საკრებულოს წევრმა - მუხამედ ართმელაძემ აღნიშნა რომ 300-მდე შემთხვევა იყო, 56 სისხლის სამართლის საქმეა აღძრული. აქ არ არის რაღაც მასაზე საუბარი, რამოდენიმე მფლობელი ყავს და რამოდენიმე ადამიანია დასაქმებული და არც ისე ნაკლებად სარფიანი საქმე არ იყო და დიდი ხანია ამოღებულია ჩადებული თანხები, რაც იყო შიგნით განხორციელებული.

საკრებულოს წევრმა - რაულ თავართქილაძემ აღნიშნა - დიდი ხანია ეს ყბადაღებული თემა იყო, შარშან იყო სეიოზული პრობლემები ამ საკითხთან დაკავშირებით და მე ვუერთდები ბატონ დიმას პათოსს, რომ პრაქტიკულად ძალიან ბევრი ცუდი, ასე ვთქვათ ტრამფული შემთხვევები მოხდა და ჩვენთვის მნიშვნელოვანია ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა, ბიზნესი ბიზნესია, მაგრამ ის ბიზნესი, როცა

ადამიანის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას ეწინააღმდეგება იქ უკვე ცოტა სხვა რამეა მოსაფიქრებელი და ამ შემთხვევაში მე მხარს ვუჭერ არსებულ პროექტს.

საკრებულოს წევრმა - მირდატ ქამადაძემ აღნიშნა - კენჭისყრამდე განმარტებას ვაკეთებ ჩემს საკითხთან დაკავშირებით, რახან ეს განსხვავებული აზრი გამოითქვა. ამ ლოგიკით ქუჩებში ავარიებიც ხდება და მაშინ მანქანებით მოძრაობაც უნდა ავკრძალოთ, ეს არ არის არავითარი საარჩევნო სპეკულაცია, საარჩევნო წელი არ იყო ორი წლის წინ როცა შემოვიდა ეს საკითხი და ზუსტად ამ ლოგიკით არ ვუჭერდი მხარს.

საკრებულოს წევრმა - ნერიმან ცინცაძემ აღნიშნა, რომ ბულვარი ძალიან გადატვირთულია. შიდა ტურიზმით ბათუმში ძალიან ბევრი სტუმარი გვეყოლება და ასე რომ საშიშროების შემცველია.

**სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე ცვლილებით, ერთიანი საციონალური მოძრაობის ინიციატივის - მთლიანი ბულვარის ტერიტორიაზე მოძრაობის აღდგენის გათვალისწინებით**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 18

კენჭისყრისას სხდომას არ ესწრებოდა: 1 (ი. პატარიძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 2 (ლ. ანთაძე, მ. ქამადაძე)

წინააღმდეგი - 15

არ მიიღო მონაწილეობა - 1 (ა. მამულაძე)

**სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი, ცვლილების გარეშე დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 18

კენჭისყრისას სხდომას არ ესწრებოდა: 1 (ი. პატარიძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 16

წინააღმდეგი - 0

არ მიიღო მონაწილეობა - 2 (ლ. ანთაძე, მ. ქამადაძე)

**და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.**



**მ ო ს მ ი ნ ე ს :**

**საკითხი 11.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, უზუფრუქტის ფორმით სსიპ „ბათუმის ბულვარი“-სათვის სარგებლობაში გადაცემული უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთები) სარგებლობის უფლებით გაცემასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ - დავით კოპინაძე)

მომხსენებელმა და აღნიშნა, რომ განკარგულებით მერს ენიჭება უფლებამოსილება ბათუმის ბულვარს მიეცეს უფლება პირდაპირ განკარგოს ის დარჩენილი ობიექტები, რომლებზეც არ შედგა აუქციონები. რიგი ობიექტებია, ეს არის ყავის ობიექტები, რამოდენიმე კაფეა, რამოდენიმე ჯიხურია. ის რომელიც არ შედგა, პირდაპირ გადასცემს აუდიტის დასკვნის საფუძველზე იმ ობიექტებს, ვინც 2019 – 2020 წლებში იყვნენ მოქმედი მოიჯარეები. აუქციონი ჩატარდა 15 წლის უკან, რამოდენიმე შედგა, რამოდენიმე ვერ შედგა. შესაბამისად წარმოდგენილი იყო სსიპ „ბათუმის ბულვარი“-ს თხოვნა, რომ აღნიშნულ ობიექტებზე მომხდარიყო პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემა.

**ა ზ რ ი**

**გ ა მ ო თ ქ ვ ე ს :**

- საკითხთან მიმართებაში აზრი არ გამოთქმულა.

**სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 16

კენჭისყრისას სხდომას არ ესწრებოდა: 3 (თ. კახიძე, ი. პატარიძე, რ. თავართქილაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 16

წინააღმდეგი - 0

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

## მ ო ს მ ი ნ ე ს :

**საკითხი 12.** „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის (მხარდაჭერის) პროგრამის განხორციელებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ - დავით კოპინაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, თუ რა მიზანს ისახავს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცება. დღემდე არ არსებობდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ელექტრონული რეესტრი. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიზანია მოქალაქეებისთვის უფრო დისტანციური არხების შეთავაზება სერვისების მიღებისთვის, რაც განსაკუთრებით აქტუალურია პანდემიის პირობებში. პროექტის მიზანია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერის მიზნით განსახორციელებელი პროგრამების სრულყოფა და ბიუჯეტის ფორმირების ხელშეწყობა, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების საერთო ქონების ინვენტარიზაცია და საერთო მდგომარეობის განსაზღვრა. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების თავმჯდომარეებს შესძლებლობა ექნებათ ჩაერთონ სასურველ პროგრამებში და შეატყობინონ მუნიციპალიტეტს არსებული პრობლემების შესახებ სახლიდან გაუსვლელად, ელექტრონულად, დამატებითი ბიუროკრატიული ბარიერების გარეშე. მოხერხდება თითქმის ყველა ამხანაგობის დარეგისტრირება, უკვე შექმნილი არის შესაბამისი პორტალი, სადაც შესაძლებლობა ექნებათ ამხანაგობებს, არამხოლოდ ჩაერთონ პროგრამებში, არამედ ინფორმაცია მიიღონ არამარტო ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ, არამედ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ნებისმიერი პროგრამების შესახებ, რაც მაქსიმალურად შეუწყობს ხელს მათი უფლებამოსილებების და მათი საჭიროებების შესახებ ინფორმაციის მიღებას. გარდა ამისა, ისინი მიაწოდებენ ინფორმაციას თავიანთ ამხანაგობებში გაერთიანებულ წევრებსაც და ეს შესაძლებლობას მიცემს მათ განცხადებები წარმოადგინონ ელექტრონულად და ამავდროულად შეძლონ ინფორმაციის გაცემაც. აღნიშნული პორტალი მოგვცემს საშუალებას ბიუჯეტის ფორმირების პროცესში მაქსიმალურად გავამარტივოთ სიტუაცია, რადგან ზუსტად გვეცოდინება ნებისმიერ მოცემულ მომენტში რამდენი კვადრატული მეტრი სახურავი, თუ სარდაფი არის ავარიული, რა მდგომარეობაში გვაქვს ეზოები და ზოგადად რა მდგომარეობაშია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ქონება.

## ა ზ რ ი

### გ ა მ ო თ ქ ვ ე ს :

საკრებულოს წევრმა - არჩილ მამულაძემ აღნიშნა - ამხანაგობის თავმჯდომარეს რა დამადასტურებელი საბუთი ექნება, იმის დასარწმუნებლად, რომ თვითონ არის ამხანაგობის თავმჯდომარე მოსახლეობის, ანუ ბინათმესაკუთრეთა წინაშე.

მომხსენებელმა განმარტა - ამხანაგობს თავმჯდომარეს ზოგადად აქვს თავმჯდომარედ არჩევის შესახებ ამხანაგობის ოქმი. ასევე ამ შემთხვევაში საშუალებას ეძლევა მას, რომ დამატებით საბუთების წარმოდგენის გარეშე, დამატებითი ბიუროკრატიის გარეშე, პირდაპირ ჩაერთოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის პროგრამაში და პირდაპირი მიმოწერა ქონდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიასთან. აღრიცხვის წესში გათვალისწინებულია, რომ მას ექნება ამხანაგობის აღრიცხვაზე დადგომის ბარათი და ეს არის სავალდებულო იმ ამხანაგობებისთვის, რომელთაც უნდათ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის პროგრამებში ჩაერთონ. აღნიშნულით სარგებლობისთვის მათთვის სავალდებულოა აღრიცხვაზე დადგომა, ელექტრონული პორტალის მეშვეობით.

საკრებულოს წევრმა - ზურაბ ნაკაიძემ აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში, ძველი „ბათუმის კორპუსში“ ამხანაგობების რეესტრი არსებობს, ოღონდ არა ელექტრონულად. ელექტრონული პორტალი რომ შეიქმნება, შეეძლება ამხანაგობის თავმჯდომარეს განცხადებით პირდაპირ მოვიდეს კანცელარიაში ჩააბაროს ან გამგეობაში, სერვის ცენტრში თუ მართო ელექტრონულად უნდა დარეგისტრირდეს და ისე შეეძლება მიიღოს მონაწილეობა მერიის პროგრამებში? შეეძლება რეესტრში მივიდეს იქ დარეგისტრირდეს? თუ მაინცდამაინც უნდა იყოს დარეგისტრირებული ამ ახალი საიტის რეესტრში. ითხოვთ თუ არა დარეგისტრირების დროს, რომ ესა თუ ის სახლი დარეგისტრირებული იყოს საჯარო რეესტრში, ასეთი ნიუანსები თუ არის გათვალისწინებული. ადრე მაგის მოთხოვნა რთული პრობლემა იყო, რადგან ყველა სახლი არ არის საჯარო რეესტრში დარეგისტრირებული და იქ აქვთ 2 ამხანაგობა, 2 ამხანაგობის თავმჯდომარის დავები და ასე შემდეგ. ასევე ყველა შეიძლება ვერ გადავიდეს, რადგან ამხანაგობების თავმჯდომარეები უმეტეს წილად ხანდაზმული ადამიანები არიან და ინტერნეტთან წვდომა არა აქვთ და მაინც მიჩვეული არიან ძველიდან გამომდინარე, მივიდნენ პირადად, სხვადასხვა საკითხზე. ანუ, ორივე იქნება, თუ მაინც და მაინც უნდა დარეგისტრირდეს ამ საიტზე და მერე შეეძლება მიიღოს პროგრამაში მონაწილეობა?

მომხსენებლმა განმარტა, რომ ამ საიტზე დარეგისტრირება ნიშნავს აღრიცხვაზე დადგომას, ანუ ის, რომ ის უკვე არის ჩვენთან მუნიციპალიტეტში დარეგისტრირებული. რაც შეეხება ახალ პოზიციას, ზოგადად ნებისმიერ სერვისთან მიმართებაში მივდივართ იქეთკენ, რომ ყველა სერვისი იქნება ელექტრონული, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ალტერნატიული საშუალებები ეზღუდებათ, თუ მას არ შეუძლია თავად შეასრულოს ეს მოქმედება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის სერვისცენტრებში დაეხმარებიან, რომ ელექტრონულად შეასრულოს ეს მოქმედება. საკითხის მიზანია, არა მხოლოდ ამხანაგობებთან მიმართებაში, არამედ ზოგადად მოქალაქეებთან მიმართებაში, ძირითად საშუალებად გამოყენებულ იქნეს ელექტრონული საშუალება.

საკრებულოს წევრმა - ლევან ანთაძემ აღნიშნა, რომ თუ ეს რეესტრი არსებობს, მაშინ ჩვენ წესში რას ვცვლით, რამე საარჩევნო თემატიკასთან არის კავშირში?.

მომხსენებლამ განმარტა - არჩევნებთან დაკავშირებით არაფერ კავშირში არ არის, უკვე ერთი წელია ეს პროექტი მუშავდება. რეესტრს რაც შეეხება ეს არაოფიციალური რეესტრი იყო, ექსელის ფორმატში, მაგრამ სისტემური მიდგომა არ იყო ამასთან დაკავშირებით სამწუხაროდ. ახლა ჩვენ გვექნება სისტემური მიდგომა, რაც იძლევა საშუალებას, რომ მონაცემები ავტომატურად დამუშავდეს.

საკრებულოს წევრმა - მუხამედ ართმელაძემ აღნიშნა, რომ მიესალმება აბსოლიტურად ყველა ელექტრონულ ინტეგრაციას, რაც შეიძლება იყოს ამხანაგობაში, მოსახლეობაში, თუ აბსოლიტურად ყველაფერში. რადგან ეს არის ხვალინდელი დღე და აუცილებლად ჩვენს მოსახლეობას, ამ შემთხვევაში ამხანაგობის თავმჯდომარეებს უნდა შევასწავლოთ მაქსიმალურად, რომ ამ სერვისებზე გადავიდეთ. ასევე აღნიშნა, თუ არის ამხანაგობის თავმჯდომარეების მუშაობის ხარისხის ინდიკატორის დაფიქსირების შესაძლებლობა? თუ შეუძლია მაგალითად უბრალო მოქალაქეს რაღაც საკითხი რომ დააყენა მისი, იქ თვითონ მის უბანში და მის სადარბაზოში, რამდენად სწორად იმუშავა, რამდენად ეფექტურად და დროულად გააკეთა რეაგირება ამხანაგობის თავმჯდომარემ და ხო არ არის ნაკლები აქტივაციის გამო საკითხის გადაუწყვეტელობა, როგორ შეიძლება ამისი კონტროლი და ამ რეპორტის ამოღება.

მომხსენებელმა განმარტა, რომ აღნიშნულისთვის გათვალისწინებულია ავტომატურად დამუშავებადი სტატისტიკა, რომელიც იძლევა შესაძლებლობას მივიღოთ ინფორმაცია არა მხოლოდ იმის თაობაზე, თუ ამ პროგრამის ფარგლებში როგორ ჩაერთო ამხანაგობა, არამედ კონკრეტულ ამხანაგობასთან დაკავშირებით შეიძლება აღნიშნული სტატისტიკის გამოტანა. შესაბამისად, ეს უფრო მეტად მიცემს ამხანაგობის წევრებსაც საშუალებას გააკონტროლონ თავიანთი თავმჯდომარე.

**სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 18

კენჭისყრისას სხდომას არ ესწრებოდა: 1 (ი. პატარიძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 16

წინააღმდეგი - 1 (ლ. ანთაძე)

არ მიიღო მონაწილეობა - 1 (მ. ქმადაძე)

**და ა ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

**სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ საკრებულოს მორიგი სხდომა დახურულად გამოაცხადა.**

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

სულიკო თებიძე

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს საქმისწარმოებისა და  
ადამიანური რესურსების მართვის  
განყოფილების უფროსი,  
სხდომის მდივანი

მადონა თურმანიძე